

შპს

დასახელებული პირის დასახელება

დასახელება, მისამართი

დასახელება, მისამართი, სადაც მოხდა აღნიშნული მოვლა

მოვლის და ხარჯის აღიარება

ფულადი სასრულოს მართების აღიარება

ამიტომ აღიარებული პასუხის აღიარება

დასახელება, მისამართი, სადაც მოხდა აღნიშნული მოვლა

1. შპს საბროკერო კომპანია „ქართუ ბროკერი“ 10

2. მომსახურების მიწოდების და საბროკერო მომსახურების აღიარება 10

3. ექსპერტიზის და ექსპერტიზის აღიარება 13

4. სხვა მომსახურების აღიარება 13

5. წამყვანი კომპანია 13

6. სხვა მომსახურების აღიარება 14

7. მომსახურების აღიარება 14

8. გარეგანი მომსახურების აღიარება 14

9. მომსახურების და მომსახურების აღიარება 15

10. მომსახურების და მომსახურების აღიარება 15

11. სხვა მომსახურების აღიარება 15

12. ექსპერტიზის აღიარება 16

13. სხვა მომსახურების აღიარება 16

14. მომსახურების აღიარება 16

15. გარეგანი მომსახურების აღიარება 16

16. მომსახურების აღიარება 17

17. გარეგანი მომსახურების აღიარება 17

18. გარეგანი მომსახურების აღიარება 17

19. გარეგანი მომსახურების აღიარება 17

თბილისი
2018

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ბალანსი.....	6
მოგებისა და ზარალის ანგარიშგება.....	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	8
კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება.....	9

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. შესავალი.....	10
2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის პრინციპები.....	10
3. ეროვნული და უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	13
4. სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	13
5. წინასწარ გადახდილი გადასახადები.....	13
6. სხვა წინასწარ გაწეული ხარჯი.....	14
7. ძირითადი საშუალებები.....	14
8. გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში.....	14
9. მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები.....	15
10. საგადასახადო ვალდებულებები.....	15
11. სხვა დარიცხული ვალდებულებები.....	15
12. კაპიტალი.....	16
13. საოპერაციო ხარჯები.....	16
14. მომსახურებაზე გაწეული ხარჯები.....	16
15. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის	16
16. წინა პერიოდის კორექტირებები.....	17
17. განუსაზღვრელი ვალდებულებები.....	17
18. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები.....	17
19. ინფორმაცია კლიენტებზე და ტრანზაქციებზე.....	17



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს საბროკერო კომპანია „ქართუ ბროკერის“
გენერალურ დირექტორსა და პარტნიორს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს საბროკერო კომპანია „ქართუ ბროკერის“ (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ბალანსს, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებასა და სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარემართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისაგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მოცემული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მოთხოვნების შესაბამისად, ასევე პასუხისმგებელია შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან

საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის ახსნა-განმარტებებზე, ან, თუ ამგვარი ახსნა-განმარტებები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის

შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ბერდო ხუციშვილი

შპს „ქართული აუდიტი“-ს
დირექტორი და პარტნიორი

თბილისი, 30 მარტი 2018 წ.



(ლარებში)	შენიშვნა	31.12.2017	31.12.2016
მიმდინარე აქტივები			
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3	140 768	143 941
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3	587 961	596 237
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		420	420
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4	-	409
წინასწარ გადახდილი გადასახადები	5	7 252	-
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯი	6	103	54
სულ მიმდინარე აქტივები		736 504	741 061
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	372	553
გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში	8	2 725	2 725
სულ გრძელვადიანი აქტივები		3 097	3 278
სულ აქტივები		739 601	744 339
მიმდინარე ვალდებულებები			
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	9	18 477	18 644
გადასახდელი ხელფასები		526	316
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე		17	17
საგადასახადო ვალდებულებები	10	106	15 602
სხვა დარიცხული ვალდებულებები	11	268	258
სულ მიმდინარე ვალდებულებები		19 394	34 836
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი შპს-ში	12	580 000	580 000
გაუნაწილებელი მოგება		129 503	99 129
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი		10 705	30 374
სულ საკუთარი კაპიტალი		720 208	709 503
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		739 601	744 339



გენ. დირექტორი

/გ. ნასიბაშვილი/

ბუღალტერი

/მ.იაკობიძე/

(ლარებში)	შენიშვნა	31.12.2017	31.12.2016
შემოსავალი საბროკერო მომსახურებიდან		60	90
მთლიანი შემოსავალი		60	90
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები			
პერსონალის შენახვის ხარჯები	(19 138)	(17 550)	
საიჯარო ქირა	(4 088)	(3 867)	
ძირ. საშუალებების ცვეთა და ამორტიზაცია	(181)	(181)	
ბირჟის მომსახურების ხარჯი	(2 766)	(2 762)	
ცენტრ. დეპოზიტარის მომსახურების ხარჯი	(308)	(302)	
რეგისტრატორის მომსახურების ხარჯები	-	(2)	
აუდიტორული მომსახურების ხარჯები	(2 000)	(3 000)	
კომუნიკაციის ხარჯები	(188)	(186)	
ბანკის მომსახურების ხარჯი	(24)	(194)	
სხვა საგადასახადო ხარჯი	(413)	(21 957)	
სხვა სამეურნეო ხარჯი	(721)	(664)	
არასაოპერაციო ხარჯი			
კურსთაშორის სხვაობა (-)	(113 070)	(85 181)	
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(262)	(0)	
არასაოპერაციო შემოსავალი			
კურსთაშორის სხვაობა (+)	100 760	141 068	
საპროცენტო შემოსავალი	27 148	29 261	
დივიდენდები	161	257	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	25 734	100	
მოგება დაბეგვრამდე	10 705	34 930	
მოგების გადასახადი	-	4 556	
საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება	10 705	30 374	



გენ. დირექტორი

ბუღალტერი

[Handwritten signatures]

/გ. ნასიბაშვილი/

/მ.თაკობიძე/

(ლარებში)	შენიშვნა	31.12.2017	31.12.2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
საბროკერო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი		60	70
მიღებული /გაცემული ავანსები		(157)	(7 445)
გაცემული ხელფასები		(15 101)	(14 736)
გადახდილი გადასახადები		(996)	(30 185)
საოპერაციო ხარჯები	13	(3 097)	(3 256)
მომსახურებაზე გაწეული ხარჯები	14	(7 045)	(7 664)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(26 336)	(63 216)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი		27 148	29 261
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		27 148	29 261
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
კურსთაშორის სხვაობით მიღებული შემოსავალი +/-		(12 311)	55 887
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		162	357
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(112)	(0)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		(12 261)	56 243
ფულადი სახსრების სუფთა ზრდა		(11 449)	22 288
ფულადი სახსრები საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		740 178	717 890
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დახურვისას		728 729	740 178

გენ. დირექტორი



ბუღალტერი

[Handwritten signatures]

/გ. ნასიბაშვილი/

/მ.იაკობიძე/

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 01/01/2016 მდგომარეობით	580 000	99 129	679 129
პერიოდის წმინდა მოგება	-	30 374	30 374
ნაშთი 31/12/2016 მდგომარეობით	580 000	129 503	709 503
ნაშთი 01/01/2017 მდგომარეობით	580 000	129 503	709 503
პერიოდის წმინდა მოგება	-	10 705	10 705
ნაშთი 31/12/2017 მდგომარეობით	580 000	140 208	720 208

გენ. დირექტორი



/გ. ნასიბაშვილი/



ბუღალტერი



/მ.იაკობიძე/

1. შესავალი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საბროკერო კომპანია "ქართუ ბროკერი" წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს.

შპს საბროკერო კომპანია "ქართუ ბროკერი"-ს, გადასახადების გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი 204929970, სახელმწიფო რეგისტრაცია განხორციელებულია ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ 1999 წლის 24 ივნისს, სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი 5/4-2084.

კომპანიის საგადასახადო რეგისტრაცია (აღრიცხვაზე აყვანა) განხორციელდა საგადასახადო ინსპექციის თბილისის რეგიონალური ცენტრის ვაკე-საბურთალოს განყოფილებამ და მიანიჭა გადასახადების გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი 204929970.

დღიდან საზოგადოების დაფუძნებისა მის 100%-იანი წილის მფლობელს (პარტნიორი) წარმოადგენს იურიდიული პირი სს „ბანკი ქართუ“, ს/ნ 204891652.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 580,000 ლარს და მისი სიდიდე საანგარიშო პერიოდში უცვლელია.

კომპანია დარეგისტრირებულია მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ., №39ა. საანგარიშო პერიოდში იგი თავის საქმიანობას ფაქტობრივად ახორციელებს იგივე მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ., №39ა.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბროკერო საქმიანობა ადგილობრივი და უცხოური ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე. საანგარიშო პერიოდში იგი თავის საქმიანობას ახორციელებს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე.

საანგარიშო პერიოდში კომპანიას შვილობილი კომპანიები, ფილიალები ან/და წარმომადგენლობები არ გააჩნია.

01.01.2017 წლისათვის კომპანიაში მუშაობდა 1 თანამშრომელი, ხოლო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის, 01.01.2018 წლისათვის კი 2 თანამშრომელი.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის პრინციპები

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად, პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

კომპანია აწარმოებს თავის სააღრიცხვო ჩანაწერებს საქართველოში აღრიცხვის მარეგულირებელი წესების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადდა აღნიშნული ბუღალტრული ჩანაწერებიდან და საჭიროებისამებრ შესწორდა, რომ შესაბამისობაში მოსულიყო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარებში (ლარი). ოპერაციები სხვა ვალუტაში აღრიცხულია, როგორც უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს შეფასებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე, შესრულებული ოპერაციების შედეგად წარმოქმნილი ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის არსებული აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობაზე და საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილი შემოსავლებისა და ხარჯების თანხებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებლები ეყრდნობა მენეჯმენტის მხრიდან არსებული მოვლენებისა და ქმედებების ცოდნას, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა საბოლოო ჯამში განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფულადი სახსრების მოძრაობის განსაზღვრის მიზნებისათვის ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავენ იმ ფულად საშუალებებს, როგორიცაა ნაღდი ფული და შეუზღუდავი ფული საბანკო ანგარიშებზე, მათ შორის სამ თვემდე (90 დღე) დაფარვის ვადით არსებული დეპოზიტები.

მოთხოვნები ბანკების მიმართ. დაფარვის სამ თვეზე მეტი ოდენობის ვადის მქონე თანხები ბანკებში ექვემდებარებიან აღიარებას.

დებიტორები. საანგარიშო პერიოდში ფინანსურ ანგარიშგებაში მოთხოვნების ანგარიშებზე ასახულია მხოლოდ წინასწარ გადახდილი გადასახადები ან/და წინასწარ გაწეული ხარჯები.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები ასახულია ისტორიული/(პირვანდელი) ღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა.

ძირითად საშუალებებად აღიარებულია ის აქტივები, რომელსაც კომპანია იყენებს ერთ წელზე მეტი ხნით საწარმოო, ადმინისტრაციის, ან სხვა მიზნებისთვის.

ძირითადი საშუალების საწყისი ისტორიული ღირებულება მოიცავს შესყიდვის საფასურს, დაბრუნებას დაუქვემდებარებელ გადახდილ გადასახადებს და იმ ხარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული ძირითადი საშუალების ექსპლუატაციაში გაშვებასთან.

ცვეთის დარიცხვა ხდება ყველა ძირითად საშუალებაზე ცალ-ცალკე და ეფუძნება მათ ისტორიულ ღირებულებას. დარიცხვისას გამოიყენება წრფივი მეთოდი, რომლის საშუალებითაც, ხელმძღვანელობის აზრით ქონების ღირებულება ადექვატურად ნაწილდება მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

ძირითად საშუალებების ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ გაწეული ხარჯების კაპიტალიზაცია ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც რემონტის ან მოდერნიზაციის შედეგად იზრდება ძირითადი საშუალების წარმადობა და სხვა საექსპლუატაციო მაჩვენებლები.

ვალდებულებები. აღირიცხება იმ აქტივის თანხის სიდიდით, რომელიც მიღებულია მოცემული ვალდებულების სანაცვლოდ, ან იმ თანხით, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ამ ვალდებულების დასაფარავად კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

მოგების გადასახადი. ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადი გაანგარიშებულია ბალანსის შედგენის თარიღისათვის საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლიდან კომპანია აღარ აღიარებს მოგების გადავადებულ გადასახადს ან/და აქტივს, რამდენადაც მისი აქტივებისა და შემოსავლების სპეციფიკიდან და მომავალი საქმიანობის გეგმებიდან გამომდინარე, ასევე საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების გამო, მენეჯმენტს მიაჩნია, რომ საბროკერო კომპანიას განჭვრეტად მომავალში არ ექნება დასაბეგრი მოგება რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნებოდა გადავადებული გადასახადის ან/და აქტივის გამოყენება.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება. საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ყველა სავალო ინსტრუმენტთან მიმართებით დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მეშვეობით. აღნიშნული მეთოდით, საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების სახით, კლასიფიცირდება გარიგების მხარეების მიერ გადახდილი და მიღებული ყველა საზღაური, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

მოსაკრებლები, საკომისიოები და სხვა საოპერაციო შემოსავლები და ხარჯები აისახება მოგება-ზარალის უწყისში დარიცხვის მეთოდით, მას შემდეგ, რაც უზრუნველყოფილია მომსახურების გაწევა ან/და მიღება.

უცხოური ვალუტის გადაფასება. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

ურთიერთგაქვითვა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ექვემდებარება ურთიერთგაქვითვას, ხოლო წმინდა ოდენობა ბალანსში ასახვას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის სამართლებრივად მოქმედ უფლებას, და სახეზეა განზრახვა წარმოებულ იქნას ურთიერთგაქვითვა ნეტო-საფუძველზე ან ერთდროულად განხორციელებულ იქნას აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების შესრულება.

3. ეროვნული და უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკებში

ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში და უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში წარმოდგება შემდეგნაირად:

	31.12.2017		31.12.2016	
	ბროკერის ანგარიშები	კლიენტების ანგარიშები	ბროკერის ანგარიშები	კლიენტების ანგარიშები
სს "თიბისი ბანკი"	0	-	0	-
სს "ბანკი ქართუ" /ანაბარი/	698 045	-	590 657	-
სს "საქართველოს ბანკი"	182	-	184	-
სს "ბანკი ქართუ"	12 024	18 477	130 694	18 644
	710 252	18 477	721 534	18 644

4. სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები მოიცავდა შემდეგ წინასწარ გადახდილ გადასახადებს:

	31.12.2017	31.12.2016
მოგების გადასახადი	-	402
სხვა გადასახადი	-	7
სულ მოკლევადიანი მოთხოვნები	-	409

საანგარიშო პერიოდში მოხდა მათი დაკორექტირება და გადატანა „წინასწარ გადახდილ გადასახადებში“.

5. წინასწარ გადახდილი გადასახადები

წინასწარ გადახდილი გადასახადები საანგარიშო პერიოდის ბოლოს წარმოდგება შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016
წინასწარ გადახდილი გადასახადი	7 252	-
სულ წინასწარ გადახდილი გადასახადი	7 252	-

6. სხვა წინასწარ გაწეული ხარჯი

სხვა წინასწარ გაწეული ხარჯი მოიცავს შემდეგს:

	31.12.2017	31.12.2016
გაწეული ინტერნეტის ხარჯი	2	3
გაწეული ტელეფონის ხარჯი	101	51
სულ სხვა წინასწარ გაწეული ხარჯი	103	54

7. ძირითადი საშუალებები

საწყისი/(ისტორიული) საბალანსო ღირებულება	საოფისე ინვენტარი	სულ
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2 334	2 334
მატება	-	-
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2 334	2 334
ცვეთა		
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 781	1 781
დარიცხული ცვეთა	181	181
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 962	1 962
ნარჩენი საბალანსო ღირებულება		
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	553	553
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	372	372

8. გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში

საწარმოს გააჩნია გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში (მ.შ. სს "საქართველოს საფონდო ბირჟა" - 2,700 ლარის და სს "კავკასიურესტრი" - 25 ლარი) თანხით სულ 2,725 ლარი.

9. მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

	31.12.2017	31.12.2016
შპს "ფინსერვისი XXI"	18 477	18 644
სულ მიწოდებიდან და მომსახურე- ბიდან წარმოქმნილი ვალდებულებე- ბი	18 477	18 644

10. საგადასახადო ვალდებულებები

საანგარიშო პერიოდისათვის კომპანიის საგადასახადო ვალდებულებები ფორმირებულია შემდეგი სახით:

	31.12.2017	31.12.2016
გადასახდელი მოგების გადასახადი	-	15 544
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	101	49
სხვა საგადასახადო ვალდებულებები: (ქონების გადასახადი)	5	8
სულ საგადასახადო ვალდებულებები	106	15 602

11. სხვა დარიცხული ვალდებულებები

საანგარიშო პერიოდისათვის კომპანიის დარიცხული ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31.12.2017	31.12.2016
სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"	230	230
სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრ.დეპოზიტარი"	25	25
სს"სილქნეტი",შპს"მაგთიკომი"	3	3
რეგისტრატორისათვის გადა- სახდელი ვალდებულება	10	-
სულ დარიცხული ვალდებულებები	268	258

12. კაპიტალი

საანგარიშო პერიოდში კომპანიის საწესდებო კაპიტალი უცვლელია და შეადგენს 580,000,0 ლარს.

13. საოპერაციო ხარჯები

	31.12.17	31.12.16
გადახდილი ბირჟისა და დეპოზიტარის მომსახურების ხარჯი	3 073	3 064
გადახდილი ბანკის მომსახურების ხარჯი	24	193
სულ საოპერაციო ხარჯები	3 097	3 256

14. მომსახურებაზე გაწეული ხარჯები

გადახდილი საიჯარო ქირა	4 088	3 867
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	957	797
გადახდილი აუდიტორული მომსახურების ხარჯი	2 000	3 000
სულ	7 045	7 664

15. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მხარეები განიხილებიან დაკავშირებული მხარეების სახით, თუ ისინი იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ, ან ერთი მხარე ფლობს მეორე მხარის კონტროლის შესაძლებლობას ან შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო ხასიათის გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

თითოეულ დაკავშირებულ მხარეს შორის ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება გამახვილებულ უნდა იქნას უშუალოდ ამგვარი ურთიერთობის არსზე და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმაზე.

საანგარიშო პერიოდში კომპანიას დაკავშირებულ პირთან (სს „ბანკი ქართუ“, ს/ნ 204891652) გარიგებები გაფორმებული აქვს ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში და მოიცავს:

- ანაზრის (ვადიანი დეპოზიტი) განთავსებას;
- მიმდინარე საბანკო ანგარიშების წარმოებას.

2017 წლის 31 დეკემბრისათვის სს „ბანკი ქართუ“-ში კომპანიის საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხები შეადგენს სულ 710,070,0 ლარს, მათ შორის საანაზრე ანგარიშზე განთავსებულია 698,045,0 ლარი (31.12.2016 წ.-ს მდგომარეობით - შესაბამისად 721,350,0 და 590,657,0 ლარი).

16. წინა პერიოდის კორექტირებები

აუდიტის პროცესში წინა საანგარიშო პერიოდის (2016 წელი) კომპანიის ფინანსური ანგარიშგების რომელიმე მუხლის დაკორექტირების საჭიროება არ წარმოშობილა.

17. განუსაზღვრელი ვალდებულებები

სასამართლო განხილვები. 2017 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ მონაწილეობდა სასამართლო ან/და სხვა ტიპის დავებში.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს კანონმდებლობა საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო სფეროში განიცდიდა ხშირ ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კომპანიის გარიგებებსა და საქმიანობასთან მიმართებაში გაკეთებული კანონმდებლობის ინტერპრეტირება შესაძლოა არ შეესაბამებოდეს საგადასახადო სამსახურების ინტერპრეტაციას. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ გამოიჩინონ კანონმდებლობის განსხვავებული ინტერპრეტაცია ადრე მომხდარი გარიგებებისა და საქმიანობის მიმართ. შესაბამისად, შეიძლება წარმოიქმნას დამატებითი გადასახადების, ჯარიმების და საურავების დარიცხვის რისკი.

დაგირავებული და შეზღუდული აქტივები. საანგარიშო პერიოდში კომპანიის აქტივები დაგირავებული ან/და შეზღუდული არ ყოფილა.

სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება. კომპანიას კლიენტების სახსრებთან დაკავშირებით გააჩნია ვალდებულებები, თუმცა მათი გადახდის რისკები არ ფიქსირდება.

18. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებსა და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა ზემოთ განხილული შემთხვევებისა.

19. ინფორმაცია კლიენტებზე და ტრანზაქციებზე

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №34/01-ის თანახმად, "საბროკერო კომპანიის ლიცენზირების, კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრისა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის წესის" მუხლი 11-ის მე-4 პუნქტის "ვ" და "ზ" ქვეპუნქტების მიხედვით:

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბროკერო კომპანია მოემსახურა 5 კლიენტს.

ტრანზაქციების ჯამური მოცულობა მოცემული პერიოდისათვის შეადგენს 280.316,0 ცალ აქციას და 10.834,02 ლარს.